

# სასაღოთი ზაფხუმი

## სურათებიანი ღამატივა


გაზეთის № 276. კვირა, 10 აპრილი 1911 წ. ღამატივის № 48

### ამბილის მკვლელობა

აღდგომის მესამე დღე იყო. მშვენიერი ამინდი იდგა. გაზაფხულის მადლიანი მზის სხივები ეთამაშებოდნენ ამწვანებულ ტყე-მინდვრებს. საშვების ძველ ეკლესიასთან ხალხი ბლომად შეყრილიყო საღვთისაწალოდ. ხარობდა ყველა, ვისაც-კი შეეძლო გახარება. საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილნი ულოცავდნენ ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას. ქირ-ბორბორი, შური, მტრობა, ერთი სიტყვით ცხოვრების ქირ-ვარამი თითქოს მივიწყებულიყო; თითქოს კაცს კაცისთვის ძმური და მეგობრული ხელი ვაეწვდინა და შეერთებულეის გაეშალათ ძმობის და ერთობის დროა. ყველას, დიდს თუ პატარას, ქუდოსანს, თუ მანდილოსანს პირი ელი-

და თავ-ჩაკიდული. იგი არ ხედავდა, მის გულს არ ესმოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. იჯდა განმარტოვებული, თითქოს მიგდებული და მივიწყებული. გაყვითლებული, ალაგ-ალაგ დახეული ღურა ტყავი ჰფარავდა მის სიბერისაგან მოხუშულ, მაგრამ კიდევ ძლიერ მხრებს. დაკონკილი ახალისი და მის ქვეშ ქუქუიანი პერანგი უმტკიცებდნენ სიღარიბეს და უპატრონობას. მართლაც, უპატრონო იყო იგი. არაფინა ჰყვანდა. მის გვარისა მხოლოდ ის იყო, ის და დარჩენილიყო, როგორც რიყეზე ხე დახავსებული, ფითრდასხმული, რომელიც დღეს თუ ხვალ უნდა გახდეს მსხვერპლი ძლიერი ქარტყილისა და მით მოისპოს საუკუნეთ მისი სახელი, მისი არსებობა დედა-მიწის ზურგზე!..

რალაც მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ეს კაცი. ბავშვებს პირდაპირ ეშინოდათ მისი, ახლოს ვერ ეკარებოდნენ.



ქრისტე აღსდგა!

შებოდა; მათი აღფრთოვანებული ლაპარაკი, სიცილი-კისკისი, ტაშ-ფანტური და სიმღერა შორს გაისმოდა.

ყველა მხიარულობდა, ყველა ხარობდა, ყველა იცინოდა, ყველა ეტრფოდა საშვებს:

„ავაიმე, წუთი სოფელი,  
ათასწორად აღვიარეო,  
ცოცხალისთვისა ტკბილი ხარ,  
სულდგმული გაიხარეო!..“

არ ხარობდა მხოლოდ ერთი. იჯდა იგი ეკლესიის კედელთან, სასაფლაოს ქვაზე, დაღვრემილი, სახე—მოხუშული

მანდილოსნებს ერიდებოდათ. რომ შეჭხედავდა მანდილოსანს, რალაც უცნაურ, აუხსნელ შიშს ჰგვრიდა. არ მოიპოვებოდა ისეთი ქალი, რომელსაც შეეძლოს ამ კაცისთვის თვალი თვალში გაყრა. რომ გეკითხნათ მიზეზი, თვითონაც ვერ ავიხსნიდათ. არ ვიცი რა მომდის, შიშის კანკალი ამიტაცებს ხოლმე, რომ შემომხედავსო,—გეტყვოდათ მანდილოსანი. იმ ტანადობისა და შეხედულობისა აღარავინ იყო იმ სოფელში, ყველასაგან განირჩეოდა მკვახე ამღვრეული ფერის სახე, მსხვილი ქალარა წარბები, რომლის გძელი ქალარა ბეწვი ჰფარავდა დიდრონ მრისხანე თვალებს,



მთლად ნაოქვებად გარდაქცეული მაღალი შუბლი, დიდრონი, ტლანქი ჯაგრიანი ხელები, გულის მკერდი ყოველთვის გადაღვლილი და ხშირ და მაღალ ჯაგრით შემოსილი, ბოხი მგრგვინავი ხმა,—ყველა ეს უმტკიცებდა, რომ ის ეკუთვნოდა იმ ძველ ადამიანებს, რომელნიც გაჩნდნენ, აღიზარდნენ და მოხუცდნენ ბრძოლის ველზე, ბრძოლის ქარ-ცეცხლში, სისხლით გაჟღენთილ დროს... განქრა ის დრო და განქრნენ ის ადამიანებიც. დადგა სხვა დრო და გაჩნდნენ სხვა თავის დროის შესაფერი პირნიც...

— ქრისტე აღსდგა, ოთარიშვილო! მიულოცა ერთმა შუახნის კაცმა ჩვენს გმირს.

— ქეშმარიტად, —წაილულლულა ოთარიშვილმა, აიწია თავი და მის ტუჩებზე რაღაც სიმწრის ღიმილმა გაიბრინა.

— რას წამოგდარხარ აქ, კაცო, მარტოდ მარტოკა, —უთხრა შუახნის კაცმა, — რას დაღვრემილხარ, ამ ხალხს არ უყურებ, მიდექ-მოდექი, გულს გაართობ.

— მკვდარი გული ყელარაფრით გაერთობა, ცივა, — უპასუხა ოთარიშვილმა.

ყანიკის გაგონებაზე მთლად ათრდოლდა ოთარიშვილი, უფრო მოეხუშა ტანი და მის სახეს რაღაც ამღვრეული ნაცრის ფერი გადაეკრა. ოთარიშვილმა ჩაჭკიდა თავი და გაქვავებული მიაშტერდა ერთ წერტილს. გარშემორტყმული კაცები პასუხის მოლოდინში იდგნენ უძრავად გაქვავებულბივით. სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

— მართალია, მოკალი ყანიკი, —მძიმედ ამოიოხვრა ოთარიშვილმა, — მე მოუსპე მას სიცოცხლე, მაგრამ ეჭ, ბიკებო, თავი დამანებეთ, ნუ მომაგონებთ იმ ჩემ სიცოცხლის მიმშხამელ წუთებს...

— ჩვენთვის საგულისხმიეროა ეგ ამბავი, იოსებ, გვიამბე; რომ ჩვენც გარდავცეთ ახალ ჩამომავლობას; კარგია, საშვილი-შვილოდ დარჩება.

— რომ საშვილი-შვილოდ საწყევლად გავხდე, წყევლა კრულვით მისხენიონ, არა? —მწარედ გაიღიმა ოთარიშვილმა და მოვლო თვალი ვარშემორტყმულებს; —მამ კარგი, გიამბობთ.

ოთარიშვილი დუღილს მიეკა, ჩაფიქრდა, თითქო უნდა გაიხსენოს ამბავიო. მსმენელთაგან ზოგი მიწაზე დასხდა და



იესო ქრისტე გეთსიმანის ბაღში.

— მართლა, იოსებ, სთქვა შუახნის კაცმა, —კაცო, სულ მინდოდა მეკითხა, რათა ხარ ესეთი? რა ვიცი, არც ქირში ერევი, არც ლხინში. ხალხსაც თითქო ერიდები. სულ დაღვრემილი დადიხარ; მე ჯერ უენი სახე მომციხარი არ მინახავს.

— ეჭ, —ამოიოხრა ოთარიშვილმა, —რამ უნდა გამაციონოს? მკვდარს, ქვათ-ქვეულს გულს ვერაფერი ვერ გაახარებს. ჩემთვის ბნელა, ჩემთვის მზე აღარ აშუქებს. არაფინ არა მყავს, და არც მინდა.

რამდენიმე კაცი გარშემოერტყა მოხუცს. სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიად რომ ბევრი რამ გამოგივლია, იოსებ, უენ ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრი რამ გინახავს, —დაარღვია სიჩუმე ერთმა ახლად მოსულმა.

— მხოლოდ წისკვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემ თავზე, —სთქვა ოთარიშვილმა, რა აიწია ჯაგრიანი წამწამები და შეჭხედა ახალ მოსულს, დანარჩენი-კი რაც-კი ცოცხალისათვის შესახვედრია —ყველაფერი.


— მართლა, იოსებ, სულ მინდოდა უენთვის მეკითხნა, —უთხრა შუახნის კაცმა, —ერთი გვიამბე, თუ ღმერთი გწამს, როგორ მოჰკალი ყანიკი?

ზოგიც იქვე ახლი-მახლო ქვებზე ჩამოსხდა, რომ გულმოდგინედ ყური დაეგდოთ ოთარიშვილისათვის.

— შამილობა იყო, —დაიწყო ოთარიშვილმა, —შამილი ჰქუხდა მთაში; შემოიერთა ჩაჩან-დაღესტანი და გაძრიელებული შიშის ზარსა სცემდა მოსაზღვრე ხალხებს. გათამამებული ჩაჩან-ლეკები დადიოდნენ მთა-ბარში ჯგუფ-ჯგუფად და არბევდნენ ქვეყნებს. მოსვენება არ იყო მათგან. გაქარდა ცხოვრება. ხალხს თავის საჭირ-ვარამისთვის აღარ ეცალა. ტყვეობა, სიკვდილი, სოფლების დაწვა-დაბუგვა, მთიდან საქონლის გატაცება, —მხოლოდ ეს-ღა იყო, ეს-ღა ის-მოდა. უიარალოდ შეუძლებელი იყო სოფლის გარედ გასვლა: ღამე ხომ შიგ სოფელშიაც ვერ გამოხვიდოდი სახლიდან გარედ. ვაჟ-კაცები ლოგინში ვეღარ წვებოდნენ და თუ დაწვებოდნენ უნდა დაწოლილიყვნენ ტან-ჩაცმულნი, იარაღში ჩამსხდარნი. ღამე იყო, თუ დღე, ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო ვაჟ-კაცი სამღვეროდ და საომრად.

ჭაერში სისხლის სუნი ტრიალებდა. სიხარულის ნაცვლად გლოვის ზარი იდგა. არ მოიპოვებოდა მთაში ისეთი ალაგი, სადაც სისხლი არ დანთხეულიყოს; ერთი სიტყვით





შეხუთული იყო ცხოვრება, გამწარებული სიცოცხლე, მაგრამ, ეჰ, ამ სიმწარეში სიტკბოებაც ბევრი ერიოა...

— დიად, ესეთი სისხლის დრო იყო, განაგრძო ოთარიშვილმა მცირე დუმისის შემდეგ, — ბევრმა სახელოვანმა ვაჟ-კაცმა დალია სული ბრძოლის ველზე, ბევრი ატირდა დედა, ცოლი და შვილი... დედას უხაროდა ვაჟი, ცოლს ქმარი, დას ძმა, როგორც დამცველი ოჯახისა, კერისა, როგორც თავ-გადადებული მეომარი თავის მიწა-წყლისა, საყვარელ სამშობლოსი. დღესასწაულებში, ღვინა-თამაშობაში ხალხი მხიარულებდა, მაგრამ ამ სიმხიარულებს ნაღვლის და სევდის ბეჭედი ესო. ქალ-ვაჟნი მღეროდნენ, მაგრამ იგი უფრო გლოვა იყო, უფრო ტირილი, სანამ სიმღერა. სიმღერა ჰგვრიდა მსმენელს არა მხიარულობას, სიამოვნებას, არა აღფრთოვანებას, არამედ სევდას, გულის ტკივილს და ცხარე ცრემლს. ფანტურიც იმავე ჰანგზე დაჟღერდა. თითო სიმის ამონაკვანისი კაცს გულის სიღრმეში სწვდებოდა. ტიროდა ფანტური, ტიროდა დამკვრელი, ტიროდა მსმენელი. მაშინ ხალხს არ ეცალა, როგორც ეხლა პრანკვა-გრებისა-

სმენად გარდაქცეულნი. გარშემო მლოცავი ხალხი-კი, რაც დრო გაიოდა, უფრო და უფრო მხიარულობას და ტაშ-ფანტურს ეძლეოდა. გაიარა რამდენიმე წუთმა.

— ჰო, ყანიკი, სთქვა ოთარიშვილმა, თითქო დავიწყებული მოაგონდა, — იმაზე უნდა მეთქო. ყანიკი გამოჩენილი ქისტი იყო, განთქმული თავის ვაჟ-კაცობით. იგი თარეშობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში და რუსების საზღვრებზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა ყანიკს: ერთი თავის სოფლელი სახელიანი ქისტი შემოაკვდა, სოფელში დადგომა შეუძლებელი იყო; მკვლრის ნათესავები, მთელი საგვარეულო ფეხზე წამოდგა და სისხლს იძებდა. ყანიკი უნდა გასცლოდა, არამც თუ იმ სოფელს, არამედ ჩაჩნიდანაც უნდა გადახვეწილიყო საით-კენმე. გადმოვიდა თუშეთში, სთხოვა თუშებს თავშესაფარი, სთხოვა მიეღოთ იგი, როგორც თავიანთი შვილი, თავიანთი ძმა. ერთგულობის ნიშნად საკლავიც-კი დაჰკლა ხატში. თუშებმაც მიიღეს ქისტი. თავისუფლად დადიოდა ყანიკი თუშეთში, ყველგან ჰქონდა ბინა, პატივისცემა და სალამი. მე ფარსმაში \*) გავიცანი პირველად ყანიკი ერთ ქორწილში. კარგი მოხდენილი ვაჟკაცი იყო, მიმზიდველი, და ხალხის ყურადღების მიმქცევი. გავიცანით ერთმანეთი თუ არა,



აჯანყებულ ალბანელთა ბანაკი.

თვის, ჩაცმა დახურვისათვის და არშიუობისთვის. ეს სამარცხინო იყო არამც თუ ვაჟ-კაცისათვის, არამედ დიაცისათვისაც. მოარშიყე კაცს დასცინოდნენ, თითქმის ზიზლით უყურებდნენ, კაცად არ აგდებდნენ: „.....“

რად არ მოკვდება დუყაი  
ქალებთან ლოგინობასა.  
კაი ყმა მაშინ მოკვდება  
სწორებთან ზჯობინობასა;  
დალაღებულნი ცხენები,  
რომ გადიოდნენ გან-განსა!...“

მღეროდნენ ხოლმე ძველად და, მართლაც, რა დროს პრანკვა-გრება იყო და არშიუობა, როდესაც მიუძინებელი შტერი ხმალ-ხანჯალ ამოწვდილი გარს ერტყა მის სამშობლოს. ამისათვისაც ქალი ირჩევდა საქრმოს არა სილამაზით, არა სიმდიდრით, არამედ:

„ბასრის ხლმის ამომღებელსა,  
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,  
სახელის შინ მომტანელსა!...“

ოთარიშვილი დადუმდა, თავი ჩაღუნა და ისევ ისე ერთ წერტილს მიაჩერდა. მსმენელთა რიცხვმა იმატა. სიჩუმე ჩამოვარდა. მსმენელთაგანს ხმა, კრინტი არავის არ დაუძრავს; ისხდნენ და იდგნენ გაქვავებულგვით, მთლად

დაიმეგობრდით. ბოლოს დადგმოხილვით კიდევ ვერცხლის ჯამით. გადიოდა დრო. ისე შევითვისეთ ერთი ერთმანეთი მე და ყანიკმა, რომ უერთი-ერთმანეთოდ ვერა ვძლებდით. სულ ერთად ვიყავით, ერთად ვუხდებოდით ცხოვრების ქართვეხილს და ქირ-ვარამს...

— ერთ ზაფხულს, რამდენიმე სიჩუმის შემდეგ განაგრძო ოთარიშვილმა, — თუშეთის მოურავმა დაიქირა ჩემი ძმობილი — ყანიკი და ხელებ შეკრული ხუთი დარაჯი რუსით გაგზავნა ქალაქში (ტფილისში). გადავწყვიტე ძმობილის განთავისუფლება. მე და პირიქითელი თუში-ჩეთი გამოუდექით რუსებსა და დავეწივინით ახალ — სოფლის ბოლოებში. ის იყო მზე ჩადიოდა; ჩვენც მხოლოდ დაბნელებას ველოდით. დაბნელდა. ჩვენც უმჩნევლად კვალ-და-კვალ მივყევით. ბევრი არ გვივლია. დარაჯებმა შეუხვიეს გზას და ერთ დაბლობაში მწვანეზე ჩამოხტნენ. ცხენები გაუშვეს საძოვარზე, ყანიკი დასვეს შუაში, თვითონ გარშემოუსხდნენ და იწყეს პურის ქამა. ბევრი არ ვაცალეთ; როგორც მოსხლეთილი ზვაფი, უცბად თავს დავეციტ დარაჯ რუსებს და სანამ გონს მოვიდოდნენ, ორი სცურავდა თავიანთ სისხლში. ერთი ვაგვისხლტდა და დანარჩენმა ორმა დარაჯმა შიშისაგან თავს ზარდაცემულმა ისეთი ბღავილი მორთო, რომ გვეგონებოდათ

\*) ფარსნა — სოფელია პირიქით თუშეთში.



სისხლის სული ნაცემი ძროხა ბლავისო. არ დავხოცეთ, ან რად გვინდოდა იმათი სიკვდილი, იარაღი წაფარეთ და გავუშვით. გავანთავისუფლეთ ყანიკი. არ ვაიარა ბევრმა ხანმა, მთავრობისაგან მოვიდა მოწერილობა თუშეთში, რომ ყანიკი როგორმე ან დაეჭირათ, ან მოეკლათ. თუშეთში ყანიკს აღარ ედგომებოდა. გადავიდა ისევ ჩაჩანში, უზლო სისხლი მოსისხლეებს და დაიწყო თა-ეში ხევსურების მიჯნებზე.

ჯერ თუშებს არას ერჩოდა, მაგრამ ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ მთიდან ცხვარი დასტაცეს ქისტებმა თუშებს. სამი მწყემსიც მოჰკლეს. ხმა გატყდა თუშეთში, რომ ქისტებს ყანიკი მეთაურობდა. მე არ მეჯერებოდა ეს ამბავი. როგორ, ყანიკი, თუშების ნაპურ-მარილევი თუშებსავე ცხვარს მოსტაცებდა? არ მეჯერებოდა, მაგრამ ბოლოს მეც გამრიგეს იმ საქმეში. ოთარიშვილმა და ჩეთიმ ხელი შეუწყვეს ყანიკსა. მთელი თუშეთი აღელდა, მოლაღატეთ დაგისახეს მე და ჩეთი. ყოველმა თუშმა ზიზლით დაგვიწყო ყურება. ერთ ყრილობაში გამოგვიცხადეს თუშებმა, რომ თქვენ ჩვენ ძმები აღარა ხართო, ჩვენთან აღარ გედგომებათ და უნდა მოგვშორდეთო. თავის გამართლება დავიწყეთ, მაგრამ ამას იყო ჩვენი ცდა, ყურიც არავინ დაგვივლო და ბოლოს პირდაპირ მოგვთხოვეს, რომ ჩვენ უნდა მოგვეკლა ყანიკი...

ღიად უნდა მომეკლა ყანიკი, ჩემი ძმობილი! საშინელი მოთხოვნა იყო; მთელი ჯოჯოხეთი დამატარდა თავზე. ან ძმობილი, ან თუშეთი, — აი კითხვა, რომელიც უნდა გადავიწყვიტა. ეს საშინელი კითხვა მერეოდა თავში, თავს ბრუ მესხმოდა, გული იწვებოდა და იდაგებოდა ცეცხლის ალით; დავდიოდი, როგორც რეტიანი, როგორც გადარეული. გარშემო გულ-შემატკივარი არაყინა მყვანდა. დავკარგე ყველაფერი, დავკარგე ძმა, მეგობარი და სალამი მოძმისა... რა გექნა? თუშეთში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, გადავიდი ქისტეთში და მოვინახე ძმობილი. ჩემ შემდეგ ჩეთიც მოვიდა. გულით და სულით დავიხვდა ყანიკი. ყველაფერი ვუამბეთ, გაუხსენით ჩვენი გული. ძმობილი მამშვიდებდა, სკდილობდა, როგორმე ბოღმა და სევდა გამექარავა; ამისათვის დავყვანიდი აქა-იქა სათარეშოდ, რამდენჯერმე დავწვიოთ და დავბუგეთ მოსახლურ რუსების სოფლები, წამოვასხით საქონელი, მაგრამ გული მაინც არ ცხრებოდა, არ მშვიდდებოდა და რაც დრო ვადიოდა. ცეცხლის ალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ხრუკავდა მთელ ჩემს არსებას. გულს აღარა ესმოდა და აღარა ეყურებოდა. იგი მიიღტოდა თავის მშობლიურ ქვეყნისაკენ — თუშეთისაკენ. დადექ, გულს, ვეტყობი ხოლმე ჩემს გულს, მაგრამ ვერა და ვერ გავაჩერე, ვერ დავიმორჩილე. ცხადად თუ სიზმრად სულ ჩემი მშობელი ქვეყანა მედგა თვალწინ თავის მთა-კლდეებით, ღრე ხევებით და ტყე-ვლებით. მართალია ქისტეთში და საზოგადოდ ჩაჩანში ნაკლები ბუნება არ არის, მაგრამ არა, იგი ჩემ გულს არ იზიდავდა, არ ათბობდა და არ ახარებდა. გული მოკვდებოდა, როდესაც გავიხედავდი სამხრეთისაკენ და დავინახავდი ჩემს სამშობლო მთებს — პირიქით თუშეთის ქედს თავის თოვლით დაგვირგვინებულ მწვერვალებით, რომელნიც ამჟამად მიბჯენიან ცას. სამშობლო ქვეყნიდან გადმოსული ღრუბლებიც-კი მიყვარდა, მის ქვე-ქუხილში, რაღაც მშობლიურსა ვგრძნობდი, რაღაც მათბობდა... გატყდა გული, ვეღარ გაუძლო ცეცხლს, სამშობლოსადმი სიყვარულმა სძლია. გადავიწყვიტე ძმობილის მოკვლა... ჩემი გარდაწყვეტილობა გაუშვლავნე ჩეთის. ჩეთი შეკრთა და თითქო ეუცხოვა ჩემი გარდაწყვეტილობა.

— როგორ, მითხრა მან, — ძმობილი უნდა მოჰკლა, კაცო, ძმობილი და ღვიძლი ძმა ხომ ერთია?!

— რა ვქნა, სხვა გზა არა გვაქვს, ვუთხარი ჩეთის, ან ყანიკი, ან თუშეთი, აირჩიე.

ჩეთი დალონდა, თავი ჩაჰკიდა და ღუმელს მიეცა — მართალია, განუმარტე ჩეთის, — ძმობილის ღალატი, მისი მოკვლა სიიდაბლეთა, საზიზრობა, მით უმეტეს, მაგისთანა ძმობილისა, მაგისთანა ვაჟ-კაცისა, რომელიც სულს არა ზოგავს ჩვენთვის, რომელიც მზად არის ყველაფერი შესწიროს ჩვენთვის, მაგრამ სამშობლო უძვირფასესია ყველაფერზე! ჩვენ ყანიკი სამშობლოს ვერ მოქცევდეს, ქისტეთი ჩვენთვის დედინაცვალა, რომელიც რაც უნდა იყოს ჩვენთვის მაინც

დედობას ვერ გვიზამს. კარგი, სანამ ყანიკი ცოცხალია კიდევ არა გვეჭირვებარა. შემდეგ? ვინ იქნება ჩვენი გულ-შემატკივარი, ვინ დავიხუტავს თვალებს, ვინ ამოგვითხრის საფლავს და მიწას მოგვაყრის, ვინ დავვატირებს უცხო შვილებს, გადმოვარდნილებს და ოხერ ტილებს?... როგორც ქრისტიანებს არც-კი მოგვიკარებინან, საფლავება არც-კი გვადირსებენ; გადაგვყრიან სადმე ღრეში, როგორც ცოფიან ძაღლებს სვავ-ყორნების და მხეცების შესაჭმელად!..

— კმარა, იოსებ, მღელვარე ხმით მითხრა ჩეთიმ, — განაგრძო ოთარიშვილმა, — მართალია, რასაც ამბობ, მე მზათავარ. ოღონდაც ჩვენი სამშობლო მაჩვენე, იქ დამალევიწე სული და ყანიკს-კი არა, ცეცხლშიაც გადავვარდები, თუ საქმე მოითხოვს.

— ყანიკის აქ ქისტეთში მოკვლა არ შეიძლება, ავუსენი ჩეთის, — უნდა როგორმე ფშავ-ხევსურეთში გავიტყუილოთ, მითომ სამტაყვბლად და იქ მოვკლათ. ყანიკი ისე გვენდობა, ისე დარწმუნებულია ჩვენ მისდამი ერთგულობაში, რომ სრულებით იქვს არ აიღებს და სიხარულითაც გამოგვყვება. უნდა მოვკლათ ღამე მძინარე, თუ მძინარე არა, ჩვენ ყანიკს და მის სამ ამხანაგს ვერ მოვკრევიო. შენ ყანიკი მოჰკალი და მე იმ სამ ქისტს მოუღებ ბოლოს. ყანიკი შენ მოჰკალი, მე ნუ გამასვრევიებ მაგის სისხლში ხელებს...

ჩეთი დასთანხმდა. გავიდა რამდენიმე დრო. ერთ საღამოს მე და ჩეთიმ ვუთხარით ყანიკს, რომ გაგვეთარეშნა ფშავ-ხევსურეთისაკენ. ყანიკი დასთანხმდა. მეორე დღეს გავსწიეთ ექვსმა კაცმა. იმ ღამეს ერთ მთის ქედის დაბლობაში დავჩიით. იქიდან ერთი გადასავალი-და გვეკონდა ფშავ-ხევსურეთში. პატარა შეენაყრდით და დავწყით დასაძინებლად. დაღლილ-დაქანცულ ქისტებს ჩქარა დეძინათ. არ გვეძინა მხოლოდ მე და ჩეთის. მთვარის ამოსვლას ველოდებოდით, რომ სისრულეში მოგვეყვანა ჩვენი ქანჩახვა. აჰა, ამოვიდა მთვარე და გაანათა მთების წვერვალოები და კლდე-ღრეები. ნელა ხელით შევანძრიე ჩეთი. ფრთხილად წამოვდექით: მე დავადექი სამ ქისტს ხანჯალ მომარჯვებული, ჩეთი ყანიკს. ვანიშნე ჩეთის ხელათ, რომ დაეცა ხანჯალი ყანიკისათვის. ჩეთი შეკრთა, ვერ ბედავდა. მომიმარჯვებდა ხანჯალს დასაცემად და ისევ შედგებოდა. კანკალია აიტანა. კანკალი შიშს მივაწერე. გული მომდრიოდა, სიბრაზისაჰან სისხლი ყელში მებჯინებოდა, მზად ვიყავ ჩემი ხელით დამეხრჩო ჩემი თანამძმე. საშინელი წუთები იყო. „ჰაი შე მუუდალო, ლორო!“ წამოიძახა უცბად ყანიკმა და როგორც ლომი, წამოვარდა ზეზე. თავზარდაცემული ჩეთი გაიქცა. ყანიკი გამოუდგა მას ხმალ ამოღებული. იმ დანარჩენ სამი ქისტის გამოღვიძებას დავასწარ. ერთ წუთში სამივეს დავეც ხანჯალი და მით გაიოვასალმე წუთი-სოფელს. ეს ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. ჩეთიმ თავს უწველა: ერთ ქუდუროზე გადაეშო და დაიკარვა. გაფთვრებული ყანიკი მობრუნდა უკან და გამოიძარცა ჩემკენ. „შეგირცხვეს ძმობილობა, მოლაღატე!“ დამიყვირა ქისტმა, — „აბა თუ მანდილი არა გხურავს, დამიდექი პირდაპირ — მოდი, აქა ვარ, ძმობილობა მორჩა“, ვუპასუხე და გავემართე მეც იმისკენ. დეცით ერთმანეთს. ბევრ ხანს არ გასტანა ჩვენმა ბრძოლამ. ხანჯლით გულ-გაპობილი დაეცა ჩემ ფეხებ წინ ყანიკი-ჩემი ძმობილი!..

ამ ბოლო სიტყვებზე გულის სიღრმიდან ოხერა ამოუვარდა ოთარიშვილს. გაჩუმდა და თავი ჩაჰკიდა, კარგა ხანს გაგრძელდა მისი ღუმელი.

— ესე იყო საქმე, ბიჭებო, დაასრულა ამბავი ოთარიშვილმა, რა აიღო თავი, ესე მურღლად, ღალატით მოვკალი ყანიკი — ჩემი ძმობილი. მაგრამ ძვირად დამიჯდა ძმობილის ღალატი... მის შემდეგ ჩემ გულს არა აქვს მოსვენება; სულ თვალ წინ მიდგას ყანიკი. არც ღრეში და არც ქირში არ მშორდება მისი სახე. „შეგირცხვეს ძმობილობა, მოლაღატე!“ — ეს სიტყვები ყურში მიწვივან. ყანიკი ჩემზე ბედნიერია სიკვდილით და მე-კი შეჩვენებულმა, სულ-წაწყმედილმა უნდა ვათრიო საცოცხლის უკანასკნელი დღეები და ტანჯვაში დავლიო ტანჯული სული, როგორც ცოფიანმა ძაღლმა, სადმე გომურში; ან უფრო ღობის ძირში!..

რამდენიმე თვის შემდეგ ერთ მიგდებულ გომურში დალია სული იოსებ ოთარიშვილმა.

ივ. ბუქურაული.